

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

06/01 2017 წ.

თბილისი

№ 3

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს ვიზის გაცემაზე, საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გაცემული ვიზის მოქმედების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებისა და საჩივრის ფორმის დამტკიცების თაობაზე

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივნისის №280 დადგენილების 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 38-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. დამტკიცდეს:

ა) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს ვიზის გაცემაზე და საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების თანდართული ფორმა (დანართი №1);

ბ) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გაცემული ვიზის მოქმედების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების თანდართული ფორმა (დანართი №2);


გ) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს ვიზის გაცემაზე, საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გაცემული ვიზის მოქმედების შეწყვეტის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის წარსადგენი საჩივრის თანდართული ფორმა (დანართი №3).

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (info.police.ge) გამოქვეყნებისთანავე.



მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

მინისტრი

A handwritten signature in black ink, consisting of several stylized, overlapping loops and lines, positioned between the words 'მინისტრი' and 'გიორგი მლებრიშვილი'.

გიორგი მლებრიშვილი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა / Decision

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს ვიზის გაცემაზე და საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ
On Refusal to issue a Georgian Visa at Georgian state border or Denial of entry to Georgia

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიხილა საქართველოს ვიზის მიღების მსურველი პირისთვის/საქართველოში შემოსვლის მსურველი პირის/Ministry of Internal Affairs of Georgia have examined the issue of granting the visa of Georgia/permitting the entry to Georgia to a person desiring to enter Georgia/to obtain Visa of Georgia

სახელი, გვარი

First name, last name (Latin Alphabet to be used)

სამგზავრო დოკუმენტის №

Travel document №

მისამართი

Address

გადამყვანი კომპანია

Carrier

საქართველოს ვიზის გაცემის/საქართველოში შემოსვლის საკითხი და გადაწყვიტა, უარი ეთქვას/We decided to refuse:

საქართველოს ვიზის გაცემაზე
Issuance of the Georgian visa

საქართველოში შემოსვლაზე
Entry to Georgia

შემდეგი საფუძვლით:/On the following ground(s):

<input type="checkbox"/> არ არის წარმოდგენილი საქართველოში შემოსვლისთვის აუცილებელი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები	<input type="checkbox"/> საქართველოს ვიზის მიღების/საქართველოში შემოსვლის მსურველ უცხოელს აკრძალული აქვს საქართველოში შემოსვლა ან არ გადაუხდია საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნისთვის დაწესებული ჯარიმა
--	---

<p>The person does not have relevant documents set by the Georgian legislation for entry in Georgia</p>	<p>The person has been banned from entering Georgia or has not paid a fine imposed for unlawful stay in Georgia</p>
<p><input type="checkbox"/> განმცხადებელმა საქართველოს ვიზის მისაღებად წარადგინა ყალბი ან არასრული მონაცემები/ინფორმაცია/დოკუმენტები</p> <p>Applicant has submitted incomplete or false data/information/documents for obtaining Georgian visa</p>	<p><input type="checkbox"/> საქართველოს ვიზის მიღების მსურველ უცხოელს არ აქვს სამოგზაურო/ჯანმრთელობის დაზღვევა ან საქართველოში ცხოვრებისა და უკან დაბრუნებისთვის საკმარისი ფინანსური სახსრები</p> <p>The person has no travel/health insurance or sufficient funds for residing in Georgia or returning back</p>
<p><input type="checkbox"/> საქართველოს ვიზის მიღების/საქართველოში შემოსვლის მსურველი უცხოელის საქართველოში ყოფნა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს, საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა პირების ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას</p> <p>The person's stay in Georgia shall endanger state security and/or public order, health, rights and protection of legal interests of Georgian citizens and other people residing in Georgia</p>	<p><input type="checkbox"/> საგარეო-პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, მიუღებელია საქართველოს ვიზის მიღების/საქართველოში შემოსვლის მსურველი უცხოელის საქართველოში ყოფნა</p> <p>The person's stay is unacceptable due to foreign policy considerations.</p>
<p><input type="checkbox"/> არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი ვიზის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ კანონიერი საფუძვლის გარეშე დარჩება საქართველოში ან დაარღვევს შესაბამისი კატეგორიის ვიზის გაცემისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებს</p> <p>Reasonable suspicion exists, that the person will illegally stay in Georgia after the expiration of the visa or will violate the conditions set forth for issuing the relevant visa type by the legislation</p>	<p><input type="checkbox"/> საქართველოს ვიზის მიღების/საქართველოში შემოსვლის მსურველი უცხოელი არ იძლევა ინფორმაციას ან იძლევა ყალბ ინფორმაციას თავისი პიროვნებისა და მგზავრობის მიზნის შესახებ</p> <p>The person does not provide the information or provides false one about his/her identity and purpose of travel</p>

<input type="checkbox"/> <p>აღარ არსებობს ან ვერ დასტურდება მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფადაც უნდა გაცემულიყო ვიზა</p> <p>The purpose for which the Georgian visa must have been issued no longer exists or cannot be confirmed</p>	<input type="checkbox"/> <p>საქართველოს ვიზის მიღების/საქართველოში შემოსვლის მსურველმა უცხოელმა საქართველოში ყოფნისას ჩაიდინა დანაშაული ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ან დაარღვია საქართველოში უცხოელთა ყოფნის წესები</p> <p>During his/her stay in Georgia, the person has committed crime, administrative violation or has violated the rule for Alien's stay in Georgia</p>
<input type="checkbox"/> <p>საქართველოს ვიზის მიღების/საქართველოში შემოსვლის მსურველი უცხოელი ბოლო 3 წლის განმავლობაში დაექვემდებარა გაძევებას საქართველოდან, მიუხედავად იმისა, გავრცელდა თუ არა მასზე საქართველოში შემოსვლის აკრძალვა</p> <p>The person has been subject to expulsion from Georgia within the last 3 years whether he/she has been forbidden to enter Georgia</p>	<input type="checkbox"/> <p>საქართველოს ვიზის მოქმედების ვადის დაწყების მოთხოვნილი თარიღისათვის საქართველოს ვიზის მიღების/საქართველოში შემოსვლის მსურველს ამოწურული აქვს 90 კალენდარული დღის ვადით საქართველოში ყოფნის უფლება 180-დღიან პერიოდში</p> <p>By the date requested for commencement of a visa period, the right to stay for 90 calendar days in Georgia within 180-day period has been expired</p>
<input type="checkbox"/> <p>არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს</p> <p>Other cases envisaged by Georgian legislation</p>	<input type="checkbox"/> <p>საქართველოს ვიზის მისაღებად დოკუმენტები/ინფორმაცია წარმოდგენილ იქნა არასათანადო წესით</p> <p>Documents required for obtaining Georgian visa are submitted unduly.</p>

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (მისამართი: ქ.თბილისი, ნ. რამიშვილის ქ.№38)/The present decision may be appealed in the Ministry of Internal Affairs of Georgia (Address Tbilisi, N. Ramishvili street №38) within 10 (ten) working days after submitting the decision to the relevant interested party.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის წარსადგენი საჩივრის ფორმა განთავსებულია სამინისტროს ვებგვერდზე: www.police.ge. საჩივარი განიხილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მისი წარდგენიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, რომელიც სამინისტროს გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 (ორი) თვით./The form of appeal to be submitted to the Ministry of Internal Affairs of Georgia, may be retrieved from the Ministry's website: www.police.ge. The appeal shall be heard within 1 (one) month after its submission to the Ministry. The term may be extended with no more than 2 (two) months according to the decision of the Ministry.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა/Signature of an official of the Patrol Police Department of the Ministry of Internal Affairs: _____

საქართველოს ვიზის მიღების/საქართველოში შემოსვლის მსურველი პირის ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის თქმა/Signature of a person desiring to obtain the Georgian visa/enter Georgia or denial of signature: _____

თარიღი/Date:

დამლა/Stamp:

გადაწყვეტილება/Decision

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გაცემული ვიზის მოქმედების შეწყვეტის შესახებ/On termination of Georgian Visa issued at Georgian State Border

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაადგინა, რომ არსებობს საქართველოს ვიზის მფლობელი უცხოელისათვის ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის საფუძველი და მიიღო გადაწყვეტილება მისთვის საქართველოს ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის შესახებ: Ministry of Internal Affairs of Georgia have identified the ground(s) for termination of Georgian visa issued in the name of

სახელი, გვარი _____
First Name, Last Name (Latin Alphabet to be used)

სამგზავრო დოკუმენტის № _____
Travel document №

მისამართი _____
Address

საქართველოს ვიზის № _____
Georgian Visa №

შემდეგი საფუძველით:/On following ground(s):

<input type="checkbox"/> გამოვლინდა საქართველოს ვიზის მისაღებად ყალბი ან იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტების წარდგენის ფაქტი It is revealed that a false or invalid document(s) has been submitted to obtain the visa	<input type="checkbox"/> საქართველოს ვიზის მფლობელი უცხოელი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას The person holding the visa carries out an activity that endangers the national security of Georgia
<input type="checkbox"/> აღარ არსებობს ან არ შესრულდა ის მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა საქართველოს ვიზა The purpose for which the visa was issued no longer exists or has not been achieved	<input type="checkbox"/> საქართველოს ვიზის მფლობელი უცხოელი გააძევეს საქართველოდან The visa holder has been expelled from Georgia;

<input type="checkbox"/> საქართველოს ვიზის მფლობელ უცხოელზე გაიცა საქართველოს ვიზა, რომელიც მოიცავს უკვე გაცემული საქართველოს ვიზის მოქმედების ვადას A visa issued to an alien overlaps the validity period of the already issued visa	<input type="checkbox"/> საქართველოს ვიზის მფლობელი უცხოელის ის სამგზავრო დოკუმენტი, რომელშიც დატანილი იყო საქართველოს ვიზა, დაიკარგა ან გახდა გამოყენებისთვის უვარგისი (გაცვეთა, დაზიანება და ა.შ.) The travel document where the visa was affixed has been lost or became unfit for use (wear, damage, etc.)
<input type="checkbox"/> D5 კატეგორიის ვიზის მფლობელ უცხოელს ან/და მისი ოჯახის წევრს შეუწყდა საკუთრების უფლება იმ უძრავ ქონებაზე, რომლის საფუძველზეც მან მოიპოვა D5 კატეგორიის ვიზა D5 category visas holders' and/or his/her family member's right to ownership has been terminated on the real estate, on the ground of which he/she had obtained the D5 category of visa	

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (მისამართი: ქ.თბილისი, გენერალ გ. გულუას ქ.№10)/The present decision may be appealed in the Ministry of Internal Affairs of Georgia (Address: Tbilisi, G. Gulua street №10) within 10 (ten) working days after submitting the decision to the relevant interested party.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის წარსადგენი საჩივრის ფორმა განთავსებულია ამავე სამინისტროს ვებგვერდზე: www.police.ge. საჩივარი განიხილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მისი წარდგენიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, რომელიც სამინისტროს გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 (ორი) თვით/The form of appeal to be submitted to the Ministry of Internal Affairs of Georgia, may be retrieved from the Ministry's website: www.police.ge. The appeal shall be heard within 1 (one) month after its submission to the Ministry. The term may be extended with no more than 2 (two) months according to the decision of the Ministry.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის/საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამდებობის პირის სახელი, გვარი, თანამდებობა/First name, last name and position of an official of the Migration Department/Patrol Police Department of the Ministry of Internal Affairs:

თანამდებობის პირის ხელმოწერა/Signature of an official: _____

თარიღი/Date:

დამლა/Stamp:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
To: Ministry of Internal Affairs of Georgia

საჩივრის ავტორი/Complainant:

სახელი/First name: _____

გვარი/Last name: _____

მის./Address: _____

ტელ./Tel: _____

ელ.ფოსტა/E-mail: _____

წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში)/Representative (if any):

სახელი/First name: _____

გვარი/Last name: _____

მის./Address: _____

ტელ./Tel: _____

ელ.ფოსტა/E-mail: _____

ს ა ჩ ი ვ ა რ ი / Complaint

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს ვიზის გაცემაზე, საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გაცემული ვიზის მოქმედების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებისა და მისი მიმღები ორგანოს დასახელება/Decision on issue the Georgian visa at Georgian state border, denial of entry to Georgia or termination of Georgian visa issued at Georgian state border and the name of the decision-making body:

მოთხოვნა, გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა/Request, grounds for the request:
